ნესტან ხელაია

საბა სვინგელოზის ბიბლიოთეკისათვის

XIII საუკუნის პირველი ნახევრის ჰიმნოგრაფის საბა სვინგელოზის სახელით ცნობილია ერთადერთი საგალობელი „ბალობანი ქრისტეს განგებულებისა და განკაცებისანი", რომელიც მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით (A–85). იგი არის ლიტურგიკული დანიშნულების ჰიმნოგრაფიული კანონი, რომელიც ეძღვნება მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის საქართველოში ჩამოტანას. მასში საუბარია მაცხოვრის განკაცების შესახებ, როდესაც მან გვიჩვენა „ბუნებითი მაბელი" ან პირშო ხატი თვისი ტრადიციის მიხედვით, ეს ხატი ჰიმნოგრაფს მიაჩნია ხელთუქმნელ ხატად, რომელიც „აღმოყვანებულ იქმნა ედესით ქართლად ქრისტეს საკეთაორის", ანუ „მეგობრის" ანტონის მიერ. საგალობელი ეფუძნება ბიბლიურ-ევანგელიურ და აპოკრიფულ მონაცემებს, საბუთს პარალელიზებითა და გამოძსაბულობითი საშუალებების გამოყენებით ქმნას ასახავს მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, ასახავს ქრისტეს განგებულებისა და განკაცების თემას. ხელნაწერში იგი მოსდევს არსენ ბულმაისიძისეულ მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ თხზულებას.

ცნობები საბა სვინგელოზის შესახებ ძალზე მწირია. ჩვენამდე შემონახული დოკუმენტებისა და ხელნაწერების მიხედვით მკვლევრები ლეტალების აღდგენაღა თუ შეიძლება. უპირველესი წყარო არის A–85-ის მონაცემები. უფლისადმი საყურადღებოა ერეკლეს შემდგენლის ტბელ აბულაძისეული ანდერძი, რომელიც გვაწვდის ცნობას, რომ საბა სვინგელოზს შეუქმნია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილი საგალობელი, ჰიმნოგრაფიული კანონი: „... ეფალო ლალალეაე ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა. ესე რომელი ამის ზემოთ წერილ არს ქმასა ლ [=4] გუსრლისა გალობითა და მეორენი თუთხლასპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყვასა შემდგომად წერილ არიან მეორის გუსრლისა, რომელთა საჭკვნიკა მეექვსე-მეექვსისა თავსა წარწერილ არიან. ხოლო მესამის გუსრლისანი ითქუნეს საბაოს მიერ სუნგელოზისა, ყაენისა ლმერთშემოსილისა ყარისა ებისკოპოსისა..." (A–85, 284v). ანდერძიდან ჩანს, რომ ძირითადი საგალობლები, მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა და ანტონ მარტოდმყოფელისადმი მიძღვნილი, შეუქმნია არსენ ბულმაისიძისეულ, ხოლო „მესამის გუსრლისნი" — საბა სვინგელოზს. არსენ ბულმაისიძეს თავისი თხზულებები ყარდან და აბუსერ აბესალომიძეთა თხოვ-

ითა და ინიციატივით შეეთხზავს, ჯერჯერობ. აბუსერი ყოფილა ინიციატორი, ხოლო ვარდანი — უშუალო „შემხუმწი". დამკვეთი.

მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის საბას საგალობლის წარწერა „თქუჰელნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ეპისკოპოსისანი, შეხუმწითა ძმისა ჩემისა ვარდანისითა, რომლისა თავნი წითელთა ასოთ-თავარნი მსიტყუველობენ: „ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ეყენ ვარდანს" (295r). საგალობლის წარწერა გვამცნობს, რომ საბას თავისი თხზულება ვარდან აბუსერისძის „შეხუმწით" შეუქმნია. ყოველივე ეს ცნობილი ყოფილა ანტონ კათალიკოსისათვის, რომელმაც „წყობილსიტყვაობაში" ხაბასადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტროფში აღნიშნა, რომ საბა იყო ვარდანის სურვილის სრულმყოფი. ანტონ კათალიკოსმა მაღალი შეფასება მისცა საბას ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებს, თვით საბას მოღვაწეობას (6, 99-103). როგორც ჩანს, ანტონის ამ შეხედულებებს ეკრძალობოდა იოანე ბატონიშვილი, რომელმაც ასევე მიიჩნია საბა სვინგელოზი ჩინებულ შემოქმედად.

საბა სვინგელოზის მოღვაწეობას მკვლევართაგან პირველი შეეხო პ. იოსელიანი, რომელმაც ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობის" პირველ გამოცემას დართულ შენიშვნაში გამოთქვა თვალსაზრისი, რომ საბა სვინგელოზი თითქოს მოღვაწეობდა 1150 წლის ახლო ხანებში და ჰან გადმოთარგმნა ქართულ ენაზე ბერძნულიდან ძღვისპირები, რომელიც ამჟამადაც ხმარობს ქართული ეკლესია (1, 265). კ. კეკელიძემ და ი. ლოლაშვილმა სამართლიანად შენიშნეს, რომ პ. იოსელიანი მსჯელობისას წყაროს არ ასახელებს, ხოლო საბას ცხოვრების დრო (1150 წელი) შეკლიმით არის მითითებული, არც მისი ძღვისპირია ცნობილი. ასევე სრულიად გაუგებარია ზ. ჭიჭინაძის შეხედულება „ბიოგრაფია". კ. კეკელიძისა და ი. ლოლაშვილის აზრით, მასში ან სხვა საბა იგულისხმება (ოლონდ გაურკვეველია — რომელი), ანდა თვით ზ. ჭიჭინაძის მიერაა შეთხზული. მიუხედავად პ. იოსელიანისა და ზ. ჭიჭინაძის ცნობებისადმი უნდობლობისა, კ. კეკელიძეც და ი. ლოლაშვილიც, მართალია, კითხვის ნიშნით, მაგრამ მაინც აღნიშნავენ, რომ „საბა სვინგელოზი ყოფილა კარის (ყარსის?) ეპისკოპოსი, თანამედროვე კათალიკოსის არსენ ბულმაისიმისძისა, ძმათა აბუსერისძეთა ვარდანისა და აბუსერისა" (4, 329; 2, 367).

საბას შესახებ ცნობას გვაწვდის საქართველოს კათალიკოსის არსენ ბულმაისიმისძის სიგელი, რომელიც, თ. ყორდანიას შენიშვნით, თვით არსენის ხელით, შმუნიერი მხედრულით არის შესრულებული იქვე მხედრულით მინაწერი ქართლის მთავარეპისკოპოსის საბასი. მოვიყვანთ თ. ყორდანიას მიერ გამოქვეყნებულ ტექსტს „ესე ფითა წმიდისა კრებასა და წმიდასა მამათმთავარსა არსენის ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზსა განუჩენია ბჭობითა და დიდითა მამათმთავრითა და მოძღვარითა

ჩვენია „ხელით წერილნი დაეშტაკებიან, მუცა გლახაკი ჯანდაბა მეფ-
ვარეპისკოპოსი საბა „ხელის წერით დავშტაკებ" (9, 96). თ. ჟორდანიას
შეხედულებით, საბა, მის მიერ 1218-1227 წლებით დათარიღებული ხი-
გელის ხელის მოაწერი, ეკუთვნია ისტორიაში, ჩანს, იგი თანამედროვე
არსენია - „საბა ეპისკოპოსი და სვინგელოსი, მწერალი, თანა-
მედროვე არსენ კათალიკოსისა"

არსენ ბულმასიმისძე კათალიკოსად ჩანს 1241-42 წლებით დათარი-
ღებულ სიგელში, ხოლო 1247-50 წლებით დათარიღებულ გრიგოლ ხე-
რაძელის სიგელში მღვიმის მონასტრისადმი არსენი უკვე შეთვლების
მწერია (7, 118-128). საბა არსენს ახლდა გელათში, როცა არსენი ბ-
ცხოვრის ხელთუქმნელი ხატისადმი მიძღვნილ საგალობლებს ქმნიდა
სვინგელოზის (სინკელის) თანამდებობა მას ეკავებდა კათალიკოსის გვერ-
დით ყოფნის. ამიტომ საბა არსენს ახლდა მღვიმის მონასტერში შე-
ლამდე, თუ იგი ამ დროს ცოცხალი იყო. ხსენებული საბი დოკუმენტის
— A—85-ის, თ. ჟორდანიას დასახელებული სიგელისა და გრიგოლ ხე-
რაძელის სიგელის გარდა საბას შესახებ თანამედროვეთა ცნობები არ
გვაქვს.

საბა ყოფილა ჯარის, ანუ კათალიკოსის თანმხლები მთავეპისკოპო-
სი. „ჯარი" არ არის გეოგრაფიული პუნქტის აღმნიშვნელი სახელი, რო-
გორც ვარაუდობდა პ. ინსელიანიდან მოყოლებული ყველა მკვლევარ,
ვინც კი შეხებია საბა სვინგელოზთან დაკავშირებულ საკითხებს. ჩვენი
აზრით, იგი ჯარის ეპისკოპოსს უნდა ნიშნავდეს, რომელიც შემდგომ
ქორეპისკოპოსის თანამდებობას შეეფარდა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის
გარემოება, რომ საბა ყოველთვის მოიხსენიება საქართველოს კათალი-
კოსთან — არსენ ბულმასიმისძესთან ერთად.

განმილვას საჭიროებს საბას ზედწოდება „სვინგელოზი". რომელიც
სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება — „სვინგელოზი", „სინკელი" სვინგ-
ელოზობა თანამდებობა იყო, რასაც ადასტურებს საკმაოდ მრავალი მო-
ნაცემი ძველი ქართული და ბიზანტიური მწერლობიდან. სინკელი ბ-
ზანტიაში საეკლესიო წოდების განსაკუთრებული თანამდებობა იყო. ისინი
მრავალნი იყვნენ, ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ერთ მაგიდას ესხდნენ
მეშაობის პროცესში და მუდამ თან ახლდნენ კათალიკოს-პატრიარქებს
და ეპისკოპოსებს. ფაქტობრივად, სინკელი (ὁ γραμματικός, protosynkellos)
ეპის-
კოპოსის კანცლერი, მდივანი იყო. თავდაპირველად სინკელები იყვნენ
მხოლოდ მათი მოქმედების, ჭკვის, საუბრების მოწმეები, ხშირად ასრუ-
ლებდნენ მათ დავალებებსაც. შემდგომში მათი ფუნქცია გაფართოვდა
და საიდუმლო საქმეთა განმგებლის მოვალეობაც დაეკისრათ. ბიზანტიის
ეკლესიის ისტორიაში საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც სინკელ-
ეპისკოპოსთა, ზოგჯერ კათალიკოს-პატრიარქთა თანამდებობის იჭერდა

ების მრავალი მაგალითი დასტურდება (5, 306). ი. ლიდაშვილმა სიტყვა-ლი შესანიშნავად განმარტა, რადგან სენაკს ბერძნულში შეესაბამება τὸ κελλίον. ს. ყაუხჩიშვილმა „აგიოგრაფიაში" მოთავსებული ბიზანტიელ ავტორთა ცნობების მიხედვით სვინგელოზობა მდივნის ტოლფასად თანამდებობად მიიჩნია. ბიზანტიურ საეკლესიოში ეს თანამდებობა დასტურდება VIII საუკუნიდან. ბიზანტიურ საისტორიო მწერლობაში ცნობილია VIII-IX საუკუნეების მოღვაწე, „ქრონიკების" ავტორი, პატრიარქ ტარასის (786-806) სალიტერატურო მდივანი გეორგი სინგელოზი, რომელსაც შეუდგენია მსოფლიო ისტორია დიოკლეტიანეს დროამდე. მის თხზულებაში დაცულია ცნობები საქართველოს შესახებ. ცნობილია IX საუკუნეში მოღვაწე მიქელ სვინკელოსი, რომელსაც შეეხებოდა სიმბოლო „პირწმინდა ერთი ღმერთი, მამაჲ უშობელი, და ერთი ძე". რომელიც შეტანილია „მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში", როგორც მაქსიმეს სიმბოლო (4, 202). სვინგელოზი ყოფილა იოვანე-თორნიკე, ძმა იოვანე-ვარაზვაჩესი, ჩორდვანელის ჩამომავალი, რასაც ადასტურებს როგორც გეორგი ათონელის ჰაგიოგრაფიული თხზულება, ისე სხვადასხვა ათონური ხელნაწერის დართული მინაწერები, აღაპები (3, 183-184). „გეორგი ათონელი წერს: და ეგრეთვე სელიერსა ძმასა ჩუენსა იოვანე სუნგელოზსა, რაჰეთუ ფფიდითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა" (10, 59). „ეე, იოვანე თორნიკეყოფილმან და ძმამან ჩემმან იოვანე-ვარაზვაჩ, ძეთა ოლკერთხეულისა ჩორდვანელისათა, მოვიგეთ და დაეწერეთ წმიდა ესე ეიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ „სამოთხე" სალიტ-ულად თავთა ჩუენთა, პირველად იოვანე სუნგელოზისათჳს, რომელმან-ცა სიყვარულისათჳს ღმერთისა დაუტევა დიდებაჲ ჭეშეანისაჲ და ჰმოვა ხეცისაჲ"... (8, 108). ასევე, ცნობილი ყოფილა ზაქარია ბანაელ სვინგელოზი (8, 171).

ყოფილა პროტოსვინგელოზის თანამდებობაც, რაც ირკვევა S-96-ის ინიციალთა მიხედვით: „მე მამამან ნიკოლაი პროტოსუნგელოზმან" - (8, 173). XI საუკუნის მოღვაწე იოანე ჭყონდიდელ-მთავარეპისკოპოსი ყოფილა სვინგელოზი 1085 წლის ახლო ხანებში (8, 232-233). ზემოთ დამოწმებულ ცნობათა მიხედვით ჩანს, რომ სვინგელოზობა შეიძლება ქონოდა სასულიერო პირს. პროტოსვინგელოზის თანამდებობის არსებობა კი იმ ფაქტს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ არსებობდა სვინგელოზთა წინამძღოლიც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სვინგელოზის ბოლოდ განმარტების რეალური საფუძველი აქვს.

ამრიგად, სვინგელოზი მდივან-მწიგნობრის თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია. სადა სვინგელოზი, ქართლის მთავარეპისკოპოსი, ჩანს, აკათალიკოსი კარის მდივან-მწიგნობრის მოვალეობას ასრულებდა, რასაც დასტურებს შიომღვიმის მონასტრის საბუთები, სადაც არსებულ ბულლი-

სიმისეს, როგორც ქართლის კათალიკოსი, და სომხეთ, ქართლის [illegible] ეპისკოპოსი, ერთად აწერენ ხელს შეიმლეიმის მონასტრისათვის მიცემულ ერთ-ერთ დოკუმენტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანტონ I, კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, ნაბეჭდი ანტონისაგან პირველისა, კათალიკოს-პატრიარქისა ყოველთა საქართველოისა. ბ. ითელეთისა წინასიტყვაობა, თფილისი, 1853.

2. ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1981.

3. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანებითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970.

4. ე. ყაველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960.

5. Поспов М. Э., История христианской церкви. Киев, 1991.

6. ნ. სულაძე, ანტონ კათალიკოსი ქართველ ჰიმნოგრაფთა შესახებ, „ალილია", 1996, № 10-11-12.

7. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ე. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

8. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, აბსნილი და გამოცემული ალ. ცაგარელის მიერ I, ტფილისი, 1892.

9. ქრონიკები, II, ტფილისი, 1897.

10. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ჭერაქიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჭლიკიანმა. ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და redaქციით, თბ., 1967.